<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №24, 10.05.2010, მუხ. 150) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დაზვერვის სააგენტოს შესახებ“.

2. I თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო და დაზვერვის სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. ეს კანონი განსაზღვრავს დაზვერვის სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) სტატუსს, უფლებამოსილებას, საქმიანობის ძირითად სფეროებს, მიზნებსა და პრინციპებს, სააგენტოს მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლის სამართლებრივ საფუძვლებს, მისი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებსა და სხვა თანამდევ საკითხებს.

2. სააგენტო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. დაზვერვის სააგენტო

სააგენტო არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომ – უსაფრთხოების სამსახური) მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით ახორციელებს სადაზვერვო საქმიანობას.

მუხლი 3. სააგენტოს საქმიანობის ძირითადი სფეროები

1. სააგენტო სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ, ინფორმაციულ და ეკოლოგიურ სფეროებში, აგრეთვე თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.

2. სააგენტო ახორციელებს საგარეო კონტრდაზვერვით საქმიანობას.

მუხლი 4. სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიზნები

სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიზნებია საგარეო საფრთხეებისა და რისკების განსაზღვრა, ქვეყნის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების აუცილებელი სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვის, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ და ეროვნული უსაფრთხოების სხვა სფეროებში გადაწყვეტილებების მისაღებად.

მუხლი 5. სააგენტოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები

სააგენტოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) სახელმწიფოებრივი ინტერესების, ადამიანის უფლებათა, თავისუფლებათა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

გ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;

დ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი;

ე) ანგარიშვალდებულება, პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;

ვ) ერთიანობა და ცენტრალიზაცია;

ზ) მიზანმიმართულობა;

თ) ოპერატიულობა;

ი) უწყვეტობა;

კ) გეგმურობა;

ლ) ფარულობა.“.

3. II თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სააგენტოს საქმიანობა და უფლებამოსილება“.

4. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. სააგენტოს საქმიანობისა და უფლებამოსილების ფარგლები

1. სააგენტო თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წინაშე. სააგენტოს უფლებამოსილება, ორგანიზება და საქმიანობის წესი განსაზღვრულია ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

2. სააგენტოს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით, აგრეთვე საკუთარი სიმბოლოები, რომელთა ნიმუშებსა და გამოყენების წესს შეიმუშავებს და ნორმატიული აქტით ამტკიცებს უსაფრთხოების

სამსახურის უფროსი „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. სააგენტოს ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

4. სააგენტო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს საზღვრებს გარეთ, აგრეთვე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

5. სააგენტო ამზადებს და თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სადაზვერვო ინფორმაციას წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, აგრეთვე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებებს.

6. სააგენტო თავისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით:

ა) ეროვნული სადაზვერვო პროგრამიდან, აგრეთვე სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებული ამოცანებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, შეიმუშავებს სადაზვერვო დავალებებსა და სადაზვერვო ღონისძიებების გეგმებს;

ბ) შეიმუშავებს და ახორციელებს სადაზვერვო საქმიანობის უსაფრთხოებისა და განვითარებისათვის აუცილებელ სპეციალურ პროგრამებს;

გ) ნებაყოფლობით, ღიად ან კონფიდენციალურად თანამშრომლობს პირებთან;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვის მეთოდურ, ორგანიზაციულ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს როგორც თავის ქვედანაყოფებში, ისე საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში. ამ მიზნით იგი ახორციელებს როგორც ოპერატიულ, ისე საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებებს;

ე) თავისი მოსამსახურეების, ოპერატიული ინფორმაციის წყაროების, საინფორმაციო და კავშირგაბმულობის სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით იყენებს ოპერატიულ, ოპერატიულ-ტექნიკურ და საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებათა აუცილებელ კომპლექსს;

ვ) აუცილებლობის შემთხვევაში ახორციელებს თავისი დოკუმენტაციის, საკადრო შემადგენლობის, ქვედანაყოფების, შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო საშუალებების შენიღბვასა და დაშიფვრას, მათ შორის, სხვადასხვა დოკუმენტის, სატრანსპორტო საშუალების სანომრე და სხვა ამოსაცნობი ნიშნების გამოყენებით;

ზ) კონსპირაციის მიზნით, სადაზვერვო საქმიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე, ქმნის სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციებს;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საკუთარ უსაფრთხოებას, კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან იცავს თავის მოსამსახურეებს, ოპერატიული ინფორმაციის წყაროებს, ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებებს, შენობა-ნაგებობებსა და საინფორმაციო მონაცემთა ბაზას;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;

კ) ახორციელებს საგარეო კონტრდაზვერვით საქმიანობას;

ლ) სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებს ოპერატიულ, ოპერატიულ-ტექნიკურ, საინჟინრო-ტექნიკურ, რადიოელექტრონულ და სხვა სპეციალურ საშუალებებს;

მ) სადაზვერვო ინფორმაციის დასაცავად სხვა მეთოდებთან ერთად ქმნის ან/და იყენებს კრიპტოგრაფიულ სისტემებს და შიფრებს;

ნ) სადაზვერვო საქმიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე, საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან (მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა) დებს ხელშეკრულებებს;

ო) თავისი ქონების, ობიექტების, ინფორმაციისა და მოსამსახურეთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით თანამშრომლობს საქართველოს სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან;

პ) სააგენტოს ისტორიული და მეცნიერული ღირებულების მქონე დოკუმენტებს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაიდუმლოების შემდეგ მუდმივი შენახვისათვის გადასცემს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ეროვნულ არქივს;

ჟ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ საფრთხეებთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობს უცხო ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან;

რ) მატერიალური დოკუმენტის ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით ქმნის, აგზავნის, იღებს და ინახავს ნებისმიერ დოკუმენტს (მათ შორის, საარქივო მასალას), აგრეთვე იყენებს პირად ხელმოწერას, ელექტრონულ ხელმოწერას/ელექტრონულ შტამპს და ელექტრონულ სანდო მომსახურებას.

7. სააგენტოს დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს მონაცემებს მისი საკადრო შემადგენლობისა და იმ პირების ან/და ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც სააგენტოსთან კონფიდენციალურად თანამშრომლობენ (თანამშრომლობდნენ), აგრეთვე სააგენტოს მიერ გამოყენებული მეთოდებისა და საშუალებების შესახებ, ინახება სააგენტოს არქივში და განსაიდუმლოებას არ ექვემდებარება. გამონაკლისია ამ კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

8. თავისი საქმიანობის განხორციელებისას სააგენტო უფლებამოსილია შეიძინოს, შექმნას და დაამზადოს სპეციალური დანიშნულების მოწყობილობები და სისტემები და ექსპლუატაცია გაუწიოს მათ.

9. სააგენტო აგრეთვე ახორციელებს სხვა საქმიანობას, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს ამ კანონიდან.“.

5. III თავის სათაური ჩამოყალიბდეს ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სააგენტოს შემადგენლობა, ორგანიზება და სტრუქტურა“.

6. მე-8–მე-11 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. სააგენტოს შემადგენლობა

1. სააგენტოს საშტატო განრიგსა და სააგენტოში მომუშავეთა რიცხოვნობას სააგენტოს უფროსის წარდგინებით განსაზღვრავს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

2. სააგენტოს მოსამსახურე არის პირი, რომელიც მსახურობს სააგენტოს შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე და რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური წოდება, აგრეთვე სააგენტოს შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დანიშნული, წოდების არმქონე პირი (სამსახურის მოხელე), შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

3. სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, ქვედანაყოფების უფლება-მოვალეობანი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება სააგენტოს დებულებით, რომელსაც სააგენტოს უფროსის წარდგინებით ამტკიცებს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

მუხლი 9. სააგენტოს უფროსი

1. სააგენტოს საქმიანობას ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

2. სააგენტოს უფროსი:

ა) ორგანიზებას უწევს ეროვნული სადაზვერვო პროგრამის, აგრეთვე სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებული ამოცანებისა და პრიორიტეტების განხორციელებას;

ბ) უზრუნველყოფს სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდებას ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისათვის და შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის;

გ) უსაფრთხოების სამსახურის უფროსს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში მისავლენად წარუდგენს დაზვერვის ოფიციალური წარმომადგენლების კანდიდატურებს;

დ) კოორდინაციას უწევს სადაზვერვო ინფორმაციის დაცვის კრიპტოგრაფიული საშუალებებისა და შიფრების სახელმწიფო სტანდარტების შექმნასა და დანერგვას;

ე) სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს, სააგენტოს საშტატო განრიგსა და სააგენტოში მომუშავეთა რიცხოვნობას დასამტკიცებლად წარუდგენს უსაფრთხოების სამსახურის უფროსს;

ვ) უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით:

ვ.ა) ეროვნული სადაზვერვო პროგრამიდან, აგრეთვე სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებული ამოცანებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, შეიმუშავებს და ამტკიცებს სადაზვერვო დავალებებს/სადაზვერვო ღონისძიებების გეგმებს;

ვ.ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს მოსამსახურეებს;

ვ.გ) გამოსცემს ნორმატიულ აქტებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით;

ვ.დ) ამტკიცებს სააგენტოს შინაგანაწესს;

ვ.ე) ქმნის კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს;

ვ.ვ) განსაზღვრავს ფულადი ჯილდოს ოდენობას, აგრეთვე განსაკუთრებულ შემთხვევებში გასაცემი ერთჯერადი დახმარების ოდენობას;

ვ.ზ) სათანადო აუცილებლობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებებს სააგენტოს მოსამსახურეებისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატების გაცემის შესახებ;

ვ.თ) უფლებამოსილია დადგენილი წესით წაახალისოს სააგენტოს მოსამსახურეები ან მათ მიმართ გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომები;

ვ.ი) წარმოადგენს სააგენტოს საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობებში;

ვ.კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოს მოსამსახურეებს ანიჭებს მორიგ სახელმწიფო სპეციალურ წოდებებს, პოლკოვნიკის წოდების ჩათვლით;

თ) ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სააგენტოს უფროსს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა ან ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა.

მუხლი 10. სააგენტოს უფროსის მოადგილეები

1. სააგენტოს უფროსს ჰყავს მოადგილეები, მათ შორის, ერთი – პირველი მოადგილე.

2. სააგენტოს უფროსის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი. მათი უფლებამოსილებები განისაზღვრება უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 11. სააგენტოს მოსამსახურეები

1. სააგენტოს მოსამსახურეზე ვრცელდება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუ ამ კანონით, სააგენტოში სამსახურის გავლის წესის შესახებ სამართლებრივი აქტით ან/და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. სააგენტოში სამსახურის გავლის წესი უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება, რომელსაც უსაფრთხოების სამსახურის უფროსი სააგენტოს უფროსის წარდგინებით იღებს. ამ აქტით შეიძლება განისაზღვროს მოსამსახურის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები,

წახალისებასთან და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებასთან და სამსახურის გავლასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

3. სააგენტოში სპეციალური შემოწმების შემდეგ მიიღება საქართველოს მოქალაქე, რომელსაც თავისი პირადი და საქმიანი თვისებების, განათლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად შეუძლია შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები.

4. სააგენტოში მიღებული პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს გამოსაცდელი ვადით და ექვემდებარება უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული სპეციალური მომზადების კურსის გავლას. სპეციალური მომზადების კურსის გავლისგან გათავისუფლების ან/და მისი ხანგრძლივობის შემცირების საკითხები შეიძლება განისაზღვროს უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტით.

5. სააგენტოს სადაზვერვო-ოპერატიული ან/და სადაზვერვო-ანალიტიკური ფუნქციის შემსრულებელ ქვედანაყოფში სამმართველოს უფროსის და უფრო მაღალ თანამდებობაზე, დაზვერვის ოფიცრის მეექვსე კატეგორიის და უფრო მაღალი კატეგორიის მქონე დაზვერვის ოფიცრის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 2 წლიანი მუშაობის გამოცდილება:

ა) საქართველოს სადაზვერვო დაწესებულებაში სადაზვერვო-ოპერატიული ან/და სადაზვერვო-ანალიტიკური ფუნქციის მქონე თანამდებობაზე;

ბ) უსაფრთხოების სამსახურში კონტრდაზვერვითი ან/და ანალიტიკური ფუნქციის მქონე თანამდებობაზე.

6. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, სააგენტოდან შეიძლება მივლენილი იქნეს პირი, რომელსაც აქვს სააგენტოში სადაზვერვო-ოპერატიული, სადაზვერვო-ანალიტიკური ან/და ტექნიკური დაზვერვის ფუნქციის მქონე თანამდებობაზე არანაკლებ 2 წლიანი მუშაობის გამოცდილება.

7. სააგენტოს მოსამსახურის შერჩევის, სპეციალური შემოწმების, სააგენტოში მიღების წესი და პირობები უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება, რომელსაც უსაფრთხოების სამსახურის უფროსი სააგენტოს უფროსის წარდგინებით იღებს. ამ აქტით აღნიშნული წესი და პირობები შესაძლოა „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისგან და სხვა შესაბამისი აქტებისგან განსხვავებულად დარეგულირდეს.

8. სააგენტოს მოსამსახურე ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სააგენტოს შინაგანაწესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

9. სააგენტოს მოსამსახურეს შეიძლება მიენიჭოს სახელმწიფო სპეციალური წოდება, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

10. სააგენტოში შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არ გაუვლია სამხედრო სავალდებულო სამსახური/წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური და არის წვევამდელი, აგრეთვე საქართველოს მოქალაქე,

რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავისუფლებულია წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისგან.

11. სააგენტოს მოსამსახურეს თავის მოვალეობათა შესასრულებლად, ამ კანონის თანახმად, სააგენტოსადმი კუთვნილების გაუმჟღავნებლად, შეიძლება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოში, აგრეთვე სხვადასხვა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ეკავოს თანამდებობა, რაც მას ჩაეთვლება შრომის საერთო სტაჟში.

12. სააგენტოს მოსამსახურის სტატუსის გამოყენება არ შეიძლება იმ მიზნით, რომელიც არ შეეხება მოსამსახურის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებას.

13. სააგენტოს მოსამსახურეს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იყენებს პირად სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას ან/და მობილურ ტელეფონს, საწვავითა და სასაუბრო დროით უზრუნველყოფს სახელმწიფო სააგენტოს უფროსის მიერ დადგენილი წესით.

14. სააგენტოს მოსამსახურეთა პროფესიულ მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას ახორციელებს სააგენტო.

15. აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სააგენტოში შეიძლება მივლენილ იქნეს საქართველოს სხვა სადაზვერვო დაწესებულების თანამშრომელი, შესაბამისი დაწესებულების კადრში დატოვებით. შეიძლება ასევე სააგენტოს მოსამსახურის მივლენა საქართველოს სხვა სადაზვერვო დაწესებულებაში. მივლინების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. სააგენტოს მოსამსახურის შრომის ანაზღაურება მოიცავს ხელფასს, ფულად ჯილდოს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ხელფასი მოიცავს სააგენტოს მოსამსახურის თანამდებობრივ და წოდებრივ სარგოებს. სააგენტოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების განაკვეთები, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

17. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში მივლენილი დაზვერვის ოფიციალური წარმომადგენლის გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

18. სააგენტოს მოსამსახურეთა უწყებრივი სამკერდე ნიშნით, მედალიონებითა და მედლებით დაჯილდოების წესი და ნიმუშები განისაზღვრება უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტით.“.

7. 11^2 მუხლი ამოღებულ იქნეს.

8. IV თავი ამოღებულ იქნეს.

9. V თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სააგენტოს მოსამსახურეთა სამართლებრივი დაცვა“.

10. მე-19 მუხლი ამოღებულ იქნეს.

11. მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 20. სააგენტოს მოსამსახურის სამსახურებრივ საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა და მისი სამართლებრივი დაცვის გარანტიები

1. დაუშვებელია სააგენტოს მოსამსახურის სამსახურებრივ საქმიანობაში ჩარევა, აგრეთვე სააგენტოს მოსამსახურის საქმიანობისათვის ხელის შეშლა სახელმწიფო თანამდებობის პირების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების, მათი წარმომადგენლების, აგრეთვე სხვა პირების მიერ, რომლებიც კანონით არ არიან უფლებამოსილი, ჩაერიონ სააგენტოს მოსამსახურის სამსახურებრივ საქმიანობაში ან ნებისმიერი ფორმით მოახდინონ მასზე ზემოქმედება. აღნიშნული ქმედება ისჯება კანონით.

2. სააგენტოს მოსამსახურეს, რომელიც სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებს განსაკუთრებით მძიმე სადაზვერვო პირობებში, ნამსახურობის ერთი დღე ეთვლება ორ დღედ. სადაზვერვო საქმიანობისათვის განსაკუთრებით მძიმე სადაზვერვო პირობებს სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

3. საქართველოს საზღვრებს გარეთ, სადაზვერვო საქმიანობის განხორციელებისათვის სააგენტოს მოსამსახურის ან/და მისი ოჯახის წევრის დაკავების, დაპატიმრების ან გასამართლების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მათ განთავისუფლებას.

4. სააგენტოს მოსამსახურეს, რომელიც სადაზვერვო საქმიანობის განხორციელებისათვის საზღვარგარეთ დააკავეს ან დააპატიმრეს, სრული ოდენობით უნარჩუნდება ყოველთვიური შრომის ანაზღაურება და დაკავების ან პატიმრობის ერთი დღე ეთვლება ნამსახურობის სამ დღედ.

5. ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში სააგენტოს მოსამსახურეს თანამდებობრივი სარგო უნაზღაურდება შესაბამისად ორმაგი და სამმაგი ოდენობით.

6. სააგენტოს მოსამსახურისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით ან მისი გამოაშკარავების შედეგად პროფესიული ვარგისობის ნაწილობრივი ან სრული დაკარგვის შემთხვევაში აღნიშნულ გარემოებათა შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის გათვალისწინებით, სააგენტო უზრუნველყოფს ამ მოსამსახურის შრომით მოწყობას ან უქმნის მას პირობებს პროფესიული გადამზადებისათვის, აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ჩათვლით.“.

12. VI თავი ამოღებულ იქნეს.

13. VII და VIII თავები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი VII. იმ პირის სამართლებრივი მდგომარეობა და სოციალური დაცვა, რომელიც კონფიდენციალურად თანამშრომლობს (თანამშრომლობდა) სააგენტოსთან

მუხლი 23. იმ პირის უფლება-მოვალეობანი, რომელიც კონფიდენციალურად თანამშრომლობს სააგენტოსთან

1. სადაზვერვო საქმიანობის მიზნების მისაღწევად სააგენტოს შეუძლია ითანამშრომლოს პირთან, რომელმაც ნებაყოფლობით განაცხადა თანხმობა კონფიდენციალურ თანამშრომლობაზე, სათანადო ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე. ასეთ პირთან თანამშრომლობის წესი და ფორმები განისაზღვრება სააგენტოს უფროსის ნორმატიული აქტით.

2. პირს, რომელიც კონფიდენციალურად თანამშრომლობს სააგენტოსთან, უფლება აქვს:

ა) სააგენტოსთან დადოს ხელშეკრულება კონფიდენციალური თანამშრომლობის შესახებ ან მასთან ითანამშრომლოს სხვა არსებული ფორმებით;

ბ) სააგენტოს მოსამსახურეებისაგან მიიღოს განმარტებები თავისი ამოცანების, უფლება-მოვალეობების შესახებ;

გ) კონსპირაციის მიზნით გამოიყენოს სააგენტოს მიერ დაშიფრული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

დ) მიიღოს სათანადო ანაზღაურება;

ე) მიიღოს იმ ზიანის ან ზარალის კომპენსაცია, რომელიც მიადგა მის ჯანმრთელობას ან ქონებას სააგენტოსთან თანამშრომლობის პერიოდში.

3. პირი, რომელიც კონფიდენციალურად თანამშრომლობს სააგენტოსთან, ვალდებულია:

ა) არ გაამჟღავნოს სააგენტოსთან თანამშრომლობის ფაქტი და პირობები;

ბ) არ მიაწოდოს სააგენტოს ყალბი ან ცილისმწამებლური ინფორმაცია;

გ) დაიცვას მისთვის განდობილი ან ცნობილი სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია.

მუხლი 24. იმ პირის სოციალური დაცვა, რომელიც კონფიდენციალურად თანამშრომლობს (თანამშრომლობდა) სააგენტოსთან

1. იმ პირის სოციალური დაცვა, რომელიც კონფიდენციალურად თანამშრომლობს (თანამშრომლობდა) სააგენტოსთან, განისაზღვრება სააგენტოს უფროსის ნორმატიული აქტით.

2. პირს, რომელიც კონფიდენციალურად თანამშრომლობს (თანამშრომლობდა) სააგენტოსთან და არ არის საქართველოს მოქალაქე, მისი თხოვნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ პირს, თუ მას მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა, სააგენტოსთან თანამშრომლობის პერიოდი ჩაეთვლება შრომის საერთო სტაჟში.

4. არავის არა აქვს უფლება, მოითხოვოს ინფორმაცია იმ პირთა ან ორგანიზაციათა შესახებ, რომლებიც კონფიდენციალურად თანამშრომლობენ

(თანამშრომლობდნენ) სააგენტოსთან, გარდა საქართველოს კანონმდებლობით საამისოდ უფლებამოსილი პირისა.

თავი VIII. სააგენტოს დაფინანსება

მუხლი 25. სააგენტოს დაფინანსება

1. სააგენტოს საქმიანობა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. სააგენტოს საქმიანობისთვის საჭირო ასიგნებები განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე პროგრამული კოდით.“.

14. IX თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სააგენტოს სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი“.

15. 26-ე და 27-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26. სააგენტოს საქმიანობის სამსახურებრივი ზედამხედველობა

სააგენტოს საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ან/და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მისი მოადგილე.

მუხლი 27. საპარლამენტო კონტროლი

სააგენტოს საპარლამენტო კონტროლი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ფორმითა და წესით.“.

16. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 29. საფინანსო კონტროლი

სააგენტოს მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებასა და ხარჯვას ამოწმებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.“.

მუხლი 2

1. 2025 წლის 1 აგვისტოდან:

ა) საქართველოს დაზვერვის სამსახური გარდაიქმნას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად – დაზვერვის სააგენტოდ;

ბ) საქართველოს დაზვერვის სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცეს სააგენტოს;

გ) სააგენტო ჩაითვალოს საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფლებამონაცვლედ;

დ) საქართველოს დაზვერვის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ

კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე. ამასთანავე, ამ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს დაზვერვის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტებით რეგულირდება;

ე) შეწყდეს შრომითი ურთიერთობები საქართველოს დაზვერვის სამსახურში დასაქმებულ პირებთან (მოსამსახურეებთან);

ვ) საქართველოს დაზვერვის სამსახურის საბალანსო მონაცემების მიხედვით არსებული აქტივები, მათ შორის, სამსახურის ბალანსზე რიცხული ქონება, მიმდინარე ვალდებულებები და სამსახურებრივი დოკუმენტაცია (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალა და სხვა დოკუმენტაცია) ჩაითვალოს სააგენტოსთვის გადაცემულად;

ზ) „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს დაზვერვის სამსახურისთვის (პროგრამული კოდი 56 00) გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილება ენიჭება სააგენტოს;

თ) საქართველოს დაზვერვის სამსახურის მიერ გაფორმებულ მოქმედ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებს შეუნარჩუნდეთ იურიდიული ძალა, ამავე ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვადით, ხოლო შემსყიდველად და საქონლის/მომსახურების მიმღებ დაწესებულებად განისაზღვროს სააგენტო.

2. საქართველოს დაზვერვის სამსახურის უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად – დაზვერვის სააგენტოდ გარდაქმნასთან დაკავშირებით:

ა) უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა 2025 წლის 1 აგვისტომდე:

ა.ა) დაამტკიცოს სააგენტოს დებულება;

ა.ბ) დაამტკიცოს სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებები, სააგენტოს საშტატო განრიგი და სააგენტოში მომუშავეთა რიცხოვნობა.

ბ) საქართველოს მთავრობამ 2025 წლის 1 აგვისტომდე:

ბ.ა) დაამტკიცოს სააგენტოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების განაკვეთები და დანამატების განაკვეთები;

ბ.ბ) დაამტკიცოს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში მივლენილი დაზვერვის ოფიციალური წარმომადგენლის სამუშაო მივლინების ანაზღაურებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წესი.

3. საქართველოს მთავრობამ, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა და სათანადო უწყებებმა, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ სათანადო ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, აგრეთვე ნორმატიული აქტების (მათ შორის, ერთობლივი ნორმატიული აქტების) მიღება/გამოცემა;

4. 2025 წლის 31 ივლისის მდგომარეობით უსაფრთხოების სამსახურისა და საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოქმედი მოსამსახურე, 2025 წლის 5 აგვისტომდე სააგენტოს მოსამსახურედ დანიშვნის შემთხვევაში, სააგენტოს მოსამსახურედ ინიშნება „დაზვერვის სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11

მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადის, სპეციალური შემოწმების, სპეციალური მომზადების კურსის გავლისა და იმავე პუნქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვის გარეშე.

5. სათანადო აუცილებლობის შემთხვევაში, სააგენტო ანაზღაურებს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში მივლენილი იმ დაზვერვის ოფიციალური წარმომადგენლისა და მისი ოჯახის წევრების საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელთანაც ამ მუხლის საფუძველზე შეწყდა შრომითი ურთიერთობა.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა და მე-2 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი და მე-2 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები ამოქმედდეს 2025 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი